პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 5 (3489)

9

1968 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისელმა მოსწავლემ ე. გაფრინდაშვილმა შარშან საკავშირო სპარტაკიადისთვის სამზადისში გამოიჩინა თავი და გაზაფხულზეც დაეუფლა უროს ტყორცნაში ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდს. შემდეგ ამ ნიჭიერმა მძლეოსანმა რეკორდი 58,66 მეტრამდე აიყვანა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საპრიზო ადგილიც დაისაკუთრა.

ელგუჯა გაფრინდაშვილი მიღწეულით როდი კმაყოფილდება — ინტენსიურად ვარჯიშობს და კარგ ნაყოფსაც იმკის: გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოსწავლეთა წლევანდელ პირველსავე შეჯიბრებაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 58,88 მ.

სურათზე: ე. გაფრინდაშვილი რეკორდის დამყარებისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲣᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ათდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი.

კიევში ადგილობრივმა „სტროიტელმა" მიიღო რიგის ვეფ-ი. მატჩის შედეგი მასპინძლებისთვის მოულოდნელი გამოდგა: ლატვიელებმა გაიმარჯვეს — 83 : 67. განმეორებით მატჩში, 7 იანვარს, „სტროიტელი" რევანშის აღებას შეეცადა. მართალია, მან საწადელი აისრულა, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლის ფასად — 80 : 78.

სვერდლოვსკში თამაშობდნენ „ურალმაში" და ტარტუს „კალევი". სტუმრებმა გაიმარჯვეს — 73 : 70.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 400-მდე მშრომელი ტურისტული მატარებლით ოც დღეს იმოგზაურებს მომმე საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში. ტურისტული მატარებლის მარშრუტი ასეთია: კიევი — მინსკი — ვილნიუსი — კაუნასი — რიგა — ტალინი — ლენინგრადი — მოსკოვი. (საქდესი).

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲓᲔᲕᲔᲜᲢᲔᲠᲘ, 7 იანვარი. ჰოლანდიისა და ნორვეგიის მოციგურავეთა მატჩში ნორვეგიელმა ფრედ ანტონ მაიერმა დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი 5000 მეტრზე რბენაში — 7.26,2. ძველი რეკორდი (7.26,6) ეკუთვნოდა მსოფლიო ჩემპიონ კ. ფერკერკს (ჰოლანდია).

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 8 იანვარი. აქაურ სტუდენტ ძალოსანთა საქალაქო პირველობაში უკონკურსოდ მოწაწილეობდა 20 წლის დინამოელი ო. ჩაბაიკინი (მძიმე წონა). მან იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 160 კგ. ეს 4 კილოგრამით აღემატება მოსკოველი ძალოსნის ვ. იაკუბოვსკის წინანდელ რეკორდს. ჩაბაიკინმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, როცა სამჭიდში 460 კგ აჩვენა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ... II ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲚᲘᲛᲐ, 7 იანვარი. პერუს დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრების ბოლო დღეს სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა ანგარიშით 3 : 1 დაამარცხა გათამაშების ლიდერი — ადგილობრივი „სპორტინგ-კრისტალი", მაგრამ მაინც II ადგილი დაიკავა: სამმა გუნდმა 5-5 ქულა მოაგროვა და მათ შორის ადგილები გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებამ გადაწყვიტა. I ადგილი დაისაკუთრა პერუს გუნდმა „უნივერსიტარიომ". „სპორტინგ-კრისტალი" III ადგილზეა.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური ნაკრები და ადგილობრივი „ალიანცა".

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატი. 7 იანვარი.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ. „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 2:3 (11:15, 15:7, 15:6, 4:15, 2:15), „ბურევესტნიკი" (ოდესა) — „სპარტაკი" (მინსკი) 3:1 (15:5, 10:15, 15:8, 15:12), „ნეფტიანიკი" (ბაქო) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:0 (15:4, 15:6, 15:3).

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. ცსკა — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:2 (7:15, 15:13, 7:15, 15:10, 15:13). ეს მატჩი 2 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. „დაუგავა" (რიგა) — „სპარტაკი" (ირკუტსკი) 0:3 (13:15, 2:15, 11:15), „ბურევესტნიკი" (კიევი) — „სპარტაკი" (ხარკოვი) 3:0 (15:11, 15:10, 15:12).

ᲤᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის წარდგენით, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა სოხუმელ არბიტრს ა. მილჩენკოს.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელს კ. ასათიანს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.



ᲑᲐᲚᲘ. ბამაკოში გაიხსნა ახალი სტადიონი, რომელიც საბჭოთა არქიტექტორების პროექტით და სსრ კავშირის დახმარებით აშენდა. ეს საუცხოო ბაზა შესანიშნავი საჩუქარია მალის სპორტსმენებისთვის, რომლებიც აფრიკის II თამაშებისთვის ემზადებიან.

სურათზე: მორბენლები მოიზ ნ'გომი (მარცხნივ) და მამადუ სანგარე თავიანთ მწვრთნელთან, ცნობილ საბჭოთა ათეიდელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. კუზნეცოვთან, რომელიც ამ ქვეყნის მძლეოსანთა ეროვნულ ნაკრებს აფრიკის თამაშებისთვის ამზადებს.

ფოტო ვ. კოროჩანცევისა (საქდესი).

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲓᲔᲕᲔᲜᲢᲔᲠᲘ, 7 იანვარი. ჰოლანდიისა და ნორვეგიის მოციგურავეთა მატჩში ნორვეგიელმა ფრედ ანტონ მაიერმა დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი 5000 მეტრზე რბენაში — 7.26,2. ძველი რეკორდი (7.26,6) ეკუთვნოდა მსოფლიო ჩემპიონ კ. ფერკერკს (ჰოლანდია).

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 8 იანვარი. აქაურ სტუდენტ ძალოსანთა საქალაქო პირველობაში უკონკურსოდ მოწაწილეობდა 20 წლის დინამოელი ო. ჩაბაიკინი (მძიმე წონა). მან იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 160 კგ. ეს 4 კილოგრამით აღემატება მოსკოველი ძალოსნის ვ. იაკუბოვსკის წინანდელ რეკორდს. ჩაბაიკინმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, როცა სამჭიდში 460 კგ აჩვენა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲑᲘ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ფეხბურთის მოყვარულნი აჯამებენ შარშანდელი წლის შედეგებს. როგორც ცნობილია, I ადგილი ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში დაიკავა „ფერენცვაროშმა". მთელი ჩემპიონატის მანძილზე ამ კლუბმა წაგება სულ 2 შეხვედრა.

„უნგრეთის განვლილმა პირველობამ თვალნათლივ დაგვანახა თამაშის კლასის ზრდა წინა ჩემპიონატებთან შედარებით", — ამტკიცებს ᲤᲘᲤᲐ-ს სააგენტო. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ 1967 წელს ფეხბურთის მატჩებს დაესწრო მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 2 მილიონ 700 ათასი კაცი.

თამაშის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ისიც, რომ უნგრულ ფეხბურთში შემტევი სტილი გამეფდა: გატანილ იქნა უფრო მეტი გოლი, საგრძნობლად გაიზარდა შედეგიანობაც: 1966 წელს გატანილ იქნა 547 გოლი, ხოლო 1967 წელს — 774. განსაკუთრებით შესამჩნევია პროგრესი კლუბების მოწინავე ოთხეულში. „ფერენცვაროშს" უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სამუალოდ 65 ბურთი გაეკონდა, ხოლო ბოლო გათამაშებაში გაიტანა 85. „უიპეშტ დოჟამ" შარშან გაიტანა ყველაზე მეტი გოლი — 89, წინა წლებში კი მისი საშუალო შედეგი უდრიდა 57 გოლს. ქ. დიორის ფეხბურთელებმა თავიანთი მაჩვენებელი 37 ბურთიდან გაუმჯობესეს 68-მდე, ხოლო „ვაშაშის" შედეგიანობა 53 ბურთიდან 71-მდე ავიდა.

1967 წლის ჩემპიონატის სხვა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს შესამჩნევი გაახალგაზრდავება: მოთამაშეთა საშუალო ასაკი 27 წლიდან დავიდა 24-მდე. განვლილ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 319 ფეხბურთელმა, რომელთაგან 100 პირველად თამაშობდა I კლასის გუნდების შეჯიბრებაში.

საინტერესო ბრძოლა წარმოუდგა 1967 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სწაიპერის წოდებისთვის. წინა წლებში ამ პრიზისთვის იბრძოდნენ ალბერტი, ბენე და ფარკაში, შარშან კი დიდი უპირატესობით დაწინაურდა „უიპეშტ დოჟას" თავდამსხმელი ანტალ დუნაი. მან გაიტანა 36 ბურთი, ე. ი. 8 ბურთით მეტი, ვიდრე ალბერტმა და ამის შედეგად სერიოზულ პრეტენდენტად იქცა „ოჭროს ბუცების" პრიზის მოპოვებაზე, რომელიც დაწესებულია ევროპის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელებისთვის.

ᲛᲔᲥᲘᲙᲝ ᲡᲠᲣᲚ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐᲨᲘᲐ

XIX ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი ემზადება დედამიწის სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილთა და სტუმრების მისაღებად. ტურიზმის განვითარების სახელმწიფო კომიტეტმა ფართო საქმიანობა გააჩაღა, ვინაიდან მას უამრავი სპორტის მოყვარული ჰყავს მისაღები. პირველ ყოვლისა, მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს მეგზურებთან. მათთვის უკვე შემუშავებულია წესების სპეციალური კრებული, რომლის დარღვევისთვისაც გათვალისწინებულია 5 ათასი პეზოს ჯარიმა. ახლა მეგზურები სპეციალურ კურსებზე სწავლობენ, სადაც სხვადასხვა უცხო ენასთან ერთად გადიან სწავლებას ისტორიაში, გეოგრაფიაში, კულტურაში, ფოლკლორში, მექსიკის ეროვნულ ხალხურ შემოქმედებასა და სხვა საგნებში. მათ ასწავლიან, აგრეთვე, მოქცევის, ზრდილობის, პირადი ჰიგიენის ნორმებს (მაგალითად, დღეში ერთხელ პარსვა მინიმუმია).

მექსიკელმა სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა XIX თამაშებში იქნება ტანვარჯიში და მძლეოსნობას მოუხდება პოზიციების დათმობა. საქმე ის არის, რომ გაყიდულია ყველა ადგილი ტანვარჯიშულ შეჯიბრებებზე, მათ შორის, სავალდებულო პროგრამით გამოსვლებზეც, რითაც უწინ მაყურებელთა ნაკლები რაოდენობა იყო დაინტერესებული. სტატისტიკოსებმა ტანვარჯიშის შემდეგ მეორე ადგილზე დააყენეს ველოსპორტი.

„ᲛᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲐᲠᲩᲘ"

ᲬᲐᲮᲚᲘ წლის წინ სპორტის საქმოსნებმა და მენაჯერებმა დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში მორიგი კამპანია ჩაატარეს მოყვარულ ათლეტთა გადასაბირებლად პროფესიონალთა ბანაკში. როგორც ყოველ ჯის, პროფესიული სპორტის გამგებელთა ობიექტს წარმოადგენდნენ ოლიმპიური ჩემპიონები და მსოფლიო რეკორდსმენები.

მსოფლიოს რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში რენდი მათსონმა მიიღო რამდენიმე მაცთუნებელი წინადადება. განსაკუთრებით ცდილობდა ცნობილი საქმოსანი, კრივში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ფლოიდ პატერსონის მენაჯერი კუს დ'ამატო. იგი პროფესიონალ მოკრივეებში გადასვლისთვის მათსონს 300 ათას დოლარს დაპირდა. ამას გარდა, იმ ჯგუფის მენაჯერები, რომელსაც განაგებს კ. დ'ამატო, საკმაოდ არაორაზროვნად დაპირდნენ მძლეოსანს პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს, რომელიც ჩამოართვეს კასიუს კლეის იმის გამო, რომ მან უარი თქვა ვიეტნამში სამხედრად გამგზავრებაზე.

„თუ რენდი დათანხმდება იმუშაოს ჩვენთან, — განაცხადა კ. დ'ამატომ, — ისიც და ჩვენც კარგ ბიზნესს გავაკეთებთ. მის სპორტულ სახელს ჩვენ მეტისმეტად სარფიანად გავყიდით".

მაგრამ ყოველგვარი ცთუნების მიუხედავად, რ. მათსონი არ დათანხმდა პროფესიონალებში გადასვლას. „მე სპორტსმენი ვარ და არა ბაზრის ჩარჩი, რომელიც საკუთარი თავითაც ვაჭრობს. რასაკვირველია, მეც, ისევე როგორც სხვას, მჭირდება ფული, მაგრამ როცა ხელი მოვკიდე სპორტს, უპირველეს-ად ყოველისა, ვფიქრობდი ჯანმრთელობაზე და არა ფულზე, ხოლო ჯანმრთელობას, ე. ი. ნამდვილ სპორტს, ჩემი აზრით, საერთო არაფერი აქვს პროფესიულ კრივთან. სისხლისღვრა რინგზე, სამწუხაროდ, უკვე ტრადიციად იქცა. პროფესიული მოკრივეებისთვის პატიოსანი თამაშის, პატიოსანი სპორტული შეჯიბრების ცნება საერთოდ არ არსებობს და ხშირად ამაში ყველაზე ნაკლები დამნაშავენი ირიან თვით სპორტსმენები, მთავარ როლში კი გამოდიან ისინი, ვინც რინგის მიღმა დგანან და ცნობილ სახელებს ყიდულობენ მოგების იმედით".

„ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ" ᲐᲠ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲘᲡ მოღვაწენი თვლიანად ხელმძღვანელობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის კანონებით. სულ ახლახან ციხეში ჩასვეს რამდენიმე ზანგი ჭაბუკი, რომლებიც რაღაც სასწაულით გაძვრნენ სტადიონზე და სკამების ქვეშ მწოლიარენი უყურებდნენ საფეხბურთო მატჩს. ამგვარი წესი შეეფობს სამხრეთ როდეზიის ყველა სტადიონსა და სპორტულ მოედანზე, საჩოგბურთო კორტებსა და საცურაო აუზებში.

ამავე დროს, სამხრეთ როდეზიის რასისტები, ისევე, როგორც მათი კოლეგები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ყოველნაირად ცდილობენ მოკავშირენი იპოვონ საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. სწორედ ამ მიზნით მიიწვიეს მათ სტუმრად ცნობილი შოტლანდიური საფეხბურთო კლუბი „სელტიკი". რასისტები შოტლანდიელ სპორტსმენებს დაპირდნენ „საუკეთესო პირობებს და ყოველგვარ შესაძლებლობას წარმტაცი მოგზაურობისთვის სამხრეთ აფრიკის ულამაზეს ადგილებში".

მაგრამ ასეთმა ლამაზმა დაპირებებმაც კი ვერ მოხიბლეს ბრიტანელი ფეხბურთელები. „სელტიკის" ადმინისტრაციამ კარგად იცის, რა რეზონანსს გამოიწვევდა კლუბის ვიზიტი რასისტებთან და ამიტომ უარი გაგზავნა სოლსბერიში. რასისტებმა მორიგი სილა იწვნიეს.

ერის ჯანმრთელობისთვის ზრუნავდნენ

1900-1917 წლების ქართული პედაგოგიური აზროვნება სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ

იაკობ გოგებაშვილის დირსული მოწაფის ლუარსაბ ბოცვაძის შეხედულებანი სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ ძირითადად გადმოცემულია წერილში „ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა“.

წერილის დასაწყისში ავტორი უჩიოდა თავის თანამედროვე სკოლას, რომელიც „მეტს მნიშვნელობას გონების განვითარებას“ აძლევდა და რომ ასეთ პირობებში „სხეულის განვითარება და გამაგრება... თითქმის სრულიად მივიწყებული“ იყო, რის გამოც „სხეული უძლურდება, მასთან სულიც სუსტდება და სიცოცხლის ძალაც თანდათან ჭრება“.

სწორად აღნიშნავს დოც. რ. ტაგანაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში, რომ ლ. ბოცვაძის აზრით, ფიზიკური აღზრდის მიზანია პიროვნების ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელობის გამაგრება, შრომისუნარიანობის ამაღლება, რომ ფიზიკური აღზრდა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს შრომით აღზრდასთან.

ლ. ბოცვაძე ზემოდასახელებულ წერილში ამბობს: „ადამიანი საჭიროებს როგორც სულის, ისე სხეულის აღზრდასაც, ურომლისოდაც იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს მისთვის შესაძლებელ სიცხოველს. სული და სხეული ცოცხალ ადამიანში შეერთებულია ერთ განუყოფელ მოლიანად ისე, რომ არ არის არც ერთი სულის განყენებული მუშაობა, ადამიანის მთელს სიცოცხლეში არ არის ისეთი სულის მდგომარეობა, რომელსაც იმავე დროს თან არ მიჰყვებოდეს სხეულის მუშაობა და მისი მდგომარეობა“.

„ჩვენ მტკიცე ხასიათისა და შეურყეველი ზნეობის თაობას ვერ აღვზრდით, — ამბობდა ლ. ბოცვაძე, — ვიდრე საკმაო ყურადღება არ ექნება მიქცეული სხეულის გამაგრებასა და განვითარებას, ფიზიკურს აღზრდას“.

მთელ წერილში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ „წესიერი ყოველმხრივი ფიზიკური მუშაობა აძლიერებს გულის, ფილტვებისა და საჭმლის მომხელელელი ორგანოების მუშაობას. ამით ძლიერდება ამ ორგანოების მოქმედებაც. სისხლის მიმოქცევა ძარღვებში, სუნთქვა და საჭმლის მონელება... და საჭმლის მადაც უფრო გაიჩნდება“.

ერთი სიტყვით, ფიზიკური მოძრაობის, ვარჯიშის მნიშვნელობა და დანიშნულება ავტორს შესანიშნავად ესმის. „სხეულის ყველა ნაწილებს, — წერს ბოცვაძე, — სჭირია ზომიერი მოძრაობა, სხვანაირად შეიძლება ერთი ნაწილი უკეთ განვითარდეს და მეორე კი არა. ბოლოს მოძრაობა არამც თუ გამეორებული უნდა იქმნას წესიერად, არამედ გაძლიერებულიც იმის მიხედვით, თუ როგორ გამაგრდება და გაძლიერდება თვითონ სხეული: მხოლოდ ძალისებრივ ვარჯიშობას შეუძლია გასვითარება“.

მაშასადამე, ავტორი მოითხოვს, რომ სხეულის ყველა ნაწილი ვითარდებოდეს თანაბრად და რომ სხეულის განვითარება-გამაგრების შესაფერისად გაძლიერდეს მისი დატვირთვაც.

ლ. ბოცვაძის ეს მოთხოვნა წინ გადადგმული ნაბიჯია ი. ფერაძის მოთხოვნასთან (ყველა შემთხვევაში — ზოგიერი დატვირთვა) შედარებით და ახლაც შეესაბამება საწვრთნელი დატვირთვის თანამედროვე გაგებას.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას მოსწავლეთათვის, კარგად იცნობს სასკოლო ფიზიკური აღზრდის საშუალებებსა და მეთოდებს.

„რადგანაც სკოლაში ბავშვები მომეტებულად სხედან გაკვეთილების დროს, მათთვის გიმნასტიკას და საზოგადოდ ფიზიკურ გარჯიშობას დიდი მნიშვნელობა აქვს: გიმნასტიკის დროს მოწყვეტები დადიან, მოძრაობენ, გიმნასტიკა აძლიერებს სუნთქვას და სისხლის მოძრაობას, ხელს უწყობს სხეულში სისხლის წესიერად განაწილებას, გამოიწვევს სისხლს ტვინიდან და მუცლიდან, სადაც გროვდება ჯდომის დროს. გიმნასტიკის დამატებას შეადგენს სასკოლო თამაშობა (ხაზგასმა ჩვენია. — ზ. შ.), რომელიც საუკეთესო სამუალებაა...“

მაგრამ სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხში ლ. ბოცვაძე მუდამ ამ პოზიციაზე არ მდგარა. წერილების სერიაში, რომელიც 1893 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე, იგი მართალია, გიმნასტიკის შეტანას მოითხოვს პირველდაწყებითი სკოლების გაკვეთილების ცხრილში ისეთი საგნების შემდეგ, რომლებიც „უფრო ძალდატანებით ყურადღებას ითხოვს“. მაგრამ შემდეგში, ჩახს, მასზე ისევე, როგორც სოფრომ მგალობლიშვილზე, ზემოქმედება მოუხდენია აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალს“, რომლის პირველი ნაწილი 1894-1899 წლებში დაიბეჭდა. ბოცვაძის 1908 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც აკაკი წერეთლის პედაგოგიური შეხედულებანია განხილული, ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი დებულება ასეთია:

„აწინდელი მეცნიერება ბავშვის ფიზიკურად განვითარებაში პირველ ადგილს თამაშობას უთმობს (ხაზგასმა ჩვენია. — ზ. შ.), რადგანაც გონივრულად მოწყობილი თამაშობა უფრო შეეფერება ბავშვის სულიერსა და სხეულის მოთხოვნილებას. გიმნასტიკა, რომელიც ცოცხალ ბავშვებს ისედაც ეჯავრებათ, აწინდელი საუკეთესო მეცნიერების მიერ დაგმობილია. ჩვენი სასიქადულო პოეტი მეცნიერის თვალით ზომავს და ამბობს: „გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის სხეულის და ჯორჯვა“... და ა. შ.

აკაკის გავლენა მეცავნდება ლ. ბოცვაძის 1915 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ წერილშიც — „საბავშვო თამაშობა“ (ჟურნალი „განათლება“, გვ. 467-468). ავტორი განსაკუთრებული გულისტკივილით მიუთითებს, რომ სკოლებისთვის შესაფერი თამაშობათა კრებული არ არსებობდა რუსულ ენაზეც კი. ეს, მისი აზრით, ხელს უწყობდა აზარტული თამაშობების გავრცელებას, რასაც დიდი ვნება მოჰქონდა. ამ მიზეზით ბოცვაძემ თვითონვე დაიწყო ქართული ხალხური თამაშობების შეგროვება, თუმცა დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა. ამავე დროს მას მიაჩნდა, რომ ქართველი ბავშვებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ქართული ეროვნულ თამაშობებს. აღუწერია სხვა ხალხების ზოგიერთი სასარგებლო თამაშიც. დასასრულ ავტორი მასწავლებლებს მოუწოდებდა, რომ პირველ ყოვლისა თვითონ შეესწავლათ ხალხური თამაშობანი, შემდეგ კი ამ თამაშობათა საშუალებით ხელი შეეწყოთ ქართველი ახალგაზრდობის გონიერული აღზრდისთვის.

თვალში მოსახვედრია, რომ წერილში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები სასკოლო ტანვარჯიში.

აკაკის შეხედულებათაგან საგრძნობ გადახვევას წარმოადგენს „განათლების“ 1915 წლის მომდევნო ნომერში (გვ. 546-551) დაბეჭდილი წერილი — „მასწავლებელთა კურსები და გიმნასტიკა“.

ია ნარიძე, რომელიც ამ წერილს აწერს ხელს, დიდ ანგარიშს უწევს აკაკის შეხედულებათა მნიშვნელობას, მაგრამ შენიშნავს, რომ, რაკი ქალაქის სკოლების მოსწავლეები მხოლოდ გიმნასტიკის ამარა რჩებიან, ამ საგნის სრულიად უარყოფა შეუძლებელია. ამასთან, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ბოლო მოეღოს სამხედრო ხასიათის ტანვარჯიშს და საგანს მიეცეს სასურველი ბუნებრივი სახე; რომ ანგარიში გაუწიოთ და ვიწამოთ თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევები ამ დარგში და მისგან აღიარებული მოწონავე სისტემის ვარჯიშობანი. შემდეგი დაყოვნება მას მიუტანებია ცოდვად და დანაშაულად მიაჩნია. წერილში დასმულია მასწავლებელთა კადრების წინასწარი მომზადებისა და მათი სამუალებით სასკოლო ფიზიკური აღზრდის გარდაქმნის საკითხი.

ის გარემოება, რომ ლ. ბოცვაძემ თავის ჟურნალში დაბეჭდა ი. ფერაძისა და ი. ნარიძის წერილები, უთუოდ მოასწავებდა ტანვარჯიშზე მისი შეხედულების შეცვლას, რაც სრულად გამოიხატა ბოცვაძის 1917 წელს გამოქვეყნებულ ზემოდასახელებულ წერილში, სადაც ტანვარჯიში აღიარებულია ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად, „სასკოლო თამაშობა“ კი გამოცხადებულია მის „დამატებად“.

ლ. ბოცვაძის მითითება ტანვარჯიშთან და თამაშობებთან ერთად რბენის, ხტომის, ნავით სეირნობის, ცხენსნობის და „სხვა სიამოვნების“ საჭიროების შესახებ, რაც „არსებითს სამსახურს უწევს ბავშვების ფიზიკურ აღზრდას“, სპორტის აღიარებაა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება უახლოვდება ილია ჭავჭავაძის აზრს სასკოლო ფიზიკური აღზრდის საშუალებების შესახებ, რაც გადმოცემულია წერილში „პედაგოგიკის საფუძვლები“. საერთოდ, ბოცვაძის ზემოხსენებულ წერილს ღრმადა აქვს ფესვი გადგმული ქართულ საზოგადოებრივსა და პედაგოგიურ აზროვნებაში.

ამრიგად, ილია ფერაძემ და ლუარსაბ ბოცვაძემ სისტემაში მოიყვანეს და სასკოლო ფიზიკური აღზრდის თეორიულად დასაბუთებული მოძღვრების სახით მოგვცეს მთელი ის მოწინავე ნაზრევი, რაც იმ დროისთვის გააჩნდა პედაგოგიურ აზროვნებასა და ფიზიკური აღზრდის თეორიას საქართველოში, რუსეთში, მთელ მსოფლიოში. ამით, მოცემული პერიოდის ქართულ სკოლას მათ მისცეს შესანიშნავი სამოქმედო პროგრამა, დაუსახეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის წარმართვის ძირითადი გზები და საშუალებანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პერიოდის ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას და მის დამოკიდებულებას სასკოლო ფიზიკური აღზრდისადმი მიმართულებას აძლევდა საეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი — „განათლება“, რომელიც 1908 წლიდან გამოდიოდა და რომლის გამომცემელი და რედაქტორი თვით ლ. ბოცვაძე იყო.

ზ. შერაზადიშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 223, 237 (1967 წ.).

მოსწავლეთა ზონალურ შეჯიბრებებზე

წაუგებლად

ქვირას, თბილისის „დინამოს“ კორტებზე ჩატარდა მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრების II ტური. ორივე მატჩი „მშრალი“ ანგარიშით (8 : 0) დამთავრდა: თბილისელებმა დაამარცხეს ერევნელები, ხოლო ბაქოელებმა — ბათუმელები. თანაც, ყველა შეხვედრაში გამარჯვებულებს ერთი ბარტიაც კი არ წაუგიათ. გამონაკლისი გახლდათ თბილისელი ჩხაიძისა და ერევნელი აკოპიანის დაძაბული ორთაბრძოლა. საბოლოოდ მასპინძელმა გოგონამ იმარჯვა — 7 : 5, 2 : 6, 6 : 4.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები: **თბილისი — ერევანი. გოგონები.** პაპაიანი — ცატურიანი 6 : 2, 6 : 4, ბატაიანი — დაძიკანიანი 6:3, 6:0, მირიმანოვა — არუთინიანი 6 : 0, 6 : 0; **ბაბუკები.** აბამკინი — საკიანი 6 :2; 8 : 6, იმხაძე — მელიქიანი 6 : 2, 6 : 4, ერანოსიანი — ელბაკიანი 6 : 1, 6 : 1, ბოკერია — კარაპეტიანი 6 : 1, 6 : 4; **ბაქო — ბათუმი. გოგონები.** სევასტიანოვა — ვაიზინიანი 6 : 0, 6 : 2, შუმოვა—ვართანიანი 6 : 2, 6 : 0, მამედოვა—სუხენკო 6 : 1, 6 : 0, დადაშევა — მაჩხალიანი 6 : 3, 6 : 4; **ბაბუკები.** ბაიგუდინი — კარაბაშიანი 6 : 2, 6 : 2, კოლოპილინი — აბგარიანი 6 : 2, 6 : 4, არეშინი — ქოროღლიანი 6:2, 6 : 4, ახმეროვი — მოსეშვილი 6 : 3, 6 : 1.

გუშინ გაიმართა ბოლო შეხვედრები. თბილისელებმა დაამარცხეს ბაქოელები (7 : 1) და ფინალში წაუგებლად გავიდნენ. ერევნელებმა სლიეს ბათუმელებს — 6 : 2.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. თბილისი — 3 ქულა, II. ბაქო — 2, III — ერევანი — 1, IV. ბათუმი — 0.

გუშინდელი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: **თბილისი — ბაქო. გოგონები.** პაპაიანი — სევასტიანოვა 2 : 6, 6 : 3, 6 : 3, ბატაიანი — შუმოვა 1 : 6, 4 : 6, ჩხაიძე — მამედოვა 6 : 0, 6 : 3, მირიმანოვა — დადაშევა 6 : 1, 6 :1; **ბაბუკები.** აბამკინი — ბაიგუდინი 6 : 2, 11 : 13, 6 : 1, იმხაძე — კოლოპილინი 6 : 2, 6 : 3, ერანოსიანი — არეშინი 6 : 1, 1 : 6, 6 : 3, ბოკერია — ახმეროვი 6 : 2, 6 : 3. **ერევანი — ბათუმი. გოგონები.** ცატურიანი—ვაიზინიანი 6 : 2, 6 : 2, დაძიკანიანი — ვართანიანი 4 : 6, 6 : 1, 3 : 6, აკოპიანი — სუხენკო 6 : 4, 7 : 5, არუთინიანი — მაჩხალიანი 6 : 1, 6 : 2; **ბაბუკები.** საკიანი — კარაბაშიანი 6 : 2, 6 : 2, მელიქიანი — აბგარიანი 6 : 4, 4 : 6, 6 : 8, ელბაკიანი — ქოროღლიანი 6 : 2, 6 : 1, კარაპეტიანი — მოსეშვილი 6 : 1, 6 : 1.

ჯ. ენდელაძე.

რომ უფრო მტკიცე იყოს „ფოლადი“...

რუსთავის სპორტული ბირთვი მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბი „ფოლადია“. აქაური ფიზკულტურელები საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მუდამ წარმატებით ასპარეზობენ, რასაც გეგმაზომიერი სრულწლიური ვარჯიშით აღწევენ. სპორტკლუბს დახურული ბაზებიც საკმარისად აქვს.

მაინც როგორ შეხვდნენ აქ ზამთრის სპორტულ სეზონს?

ამ კითხვაზე გვიპასუხეს „ფოლადის“ სპორტნაგებობათა დირექტორმა ვ. მუქათარიძემ და კლუბის ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა ს. კრასიკოვმა.

— მხატვრულ ტანვარჯიშში რესპუბლიკური პირველობის შემდეგ დავიწყეთ დახურული სპორტული ნაგებობების შეკეთება: სპორტთამაშების, საჭიდაო და ძალოსნობის დარბაზებში ჩავსვეთ მინები, შევაკეთეთ საშხაპეები და ახლა სპორტსმენებს მუდამ აქვთ ცხელი წყალი. კალათბურთის ხის ფარები ცელულოიდის ფარებით შეიცვალა. დარბაზები თბება, მაგრამ მოუგვარებელი დარჩა ცენტრალური გათბობის ბატარეების გაწმენდის საქმე, რასაც ქალაქის არც ერთმა შემკეთებელმა ორგანიზაციამ არ მოკიდა ხელი.

სპორტკლუბში „ქიმმრეწვმშენის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა დარბაზების იატაკი მეტისმეტად უხეირო საღებავით შეღება, რის გამო საღებავის მეორე ფენა აღარ წავასმევინეთ.

დარბაზები ზამთრის სეზონს მაინც მზად შეხვდნენ. ახლა ჩვენთან ვარჯიშობენ ფრენბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები, აკრობატები, ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები.

• • •

მეტალურგებს მხედველობიდან არც მოთხილამურეები გამორჩენიათ. ინვენტარს მალე შეავსებენ ფეხსაცმელებით, თხილამურებითა და სხვა აღჭურვილობით, რის შემდეგ გუნდს ბაკურიანში სავარჯიშოდ, შემდეგ კი მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა დარგობრივ სპარტაკიადაში საასპარეზოდ გაგზავნიან. აქაური მოთხილამურეები ხომ შარშანდელ ამგვარ ტურნირში გამარჯვებული არიან და, ცხადია, წლეულსაც უძლიერესის სახელისთვის იბრძოლებენ. „ფოლადის“ მოთხილამურეები ბაკურიანშივე გამოცდიან ძალას „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში. რაც შეეხება შიდასაკოლექტივო ტურნირებს, დარბაზებში ისინი თითქმის ყველა სახეობაში ჩატარდება. მოწყობა, აგრეთვე, ამხანაგური შეხვედრები სხვა ქალაქების სპორტსმენებთან.

რ. ბაბრიხიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

ხურათებზე: მარცხნივ — **ხელბურთელები მორიგი ვარჯიშისას;** მარჯვნივ — **ხაწარმოო ტანვარჯიში ელექტროშემკეთებელ ხამჭროში.**

ფოტო ავტორისა.



თუთუ-ჯაჯი

ასმათ დავითიშვილი

ნაწყვეტი წიგნიდან

24 აგვისტოს ღამის 12 საათზე გავედით. დავემშვიდობეთ ამხანაგებს, რომლებიც სპორტული შურით შემოგვცქეროდნენ და გულწრფელად გვისურვებდნენ წარმატებას. იმავე წამს სიბნელეში ჩავეფალით. უნდა გაგვევლო კულუმ-კოლის ხეობა (მზიანი ხეობა), კულუმ-კოლის უღელტეხილი და იქიდან გამოვსულიყავით თუთუ-ბაშის ბირველ მწვერვალზე. აქედან ახალი უღელტეხილით (ეს იყო სამხრეთი მხარე) დაგვშვებოდით კედლის ძირში (ეს უღელტეხილიც ჩვენ აღმოვაჩინეთ).

უკან მეთვალყურეთა ორი ჯგუფი მოგვყვებოდა. ისინი ამბავს აწვდიდნენ „მეტალურგთა“ ბანაკს, იქიდან ცნობები ნალჩიკს იგზავნებოდა, ნალჩიკიდან კი — მოსკოვს.

მეთვალყურეთა პირველი ჯგუფი, რომელიც ექვსი კაცისგან შედგებოდა, მწვერვალის ძირში უნდა ჩასულიყო და იქიდან დაეჭირა ჩვენთან კავშირი. ჩვენ რადიომიმღები არ გვქონდა — ზედმეტი ტვირთის ტარებას მოვერიდეთ და შევთანხმდით, რომ საჭირო შემთხვევაში კავშირს შუშხუნებით დავამყარებდით.

დღის 12 საათისათვის უღელტეხილზე ავედით. საათნახევარი გვეძინა, შემდეგ დაშვება დავიწყეთ. მარშრუტი

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 3, 4.

მხარმარჯვნივ გვრჩებოდა. ნ საათისათვის მწვერვალის ძირში, მოედანზე ვიყავით. ეს მოედანი ჯერ კიდევ შეშოდგომით მოვამზადე.

26 აგვისტოს დილის რვა საათზე დავგოვეთ ბანაკი: პირველი ჩამმა მე და მიშა ვიყავით, მეორე — სინკოვსკი და ზანილოვი.

ჩვენს წინ კილომეტრნახევარზე ყინვარი იყო გადაჭიმული.

კლდის ძირში ღრმა და დიდსა ნაბრალმა გადაგვიკვეთა გზა. ნაპრალს ყინულვარდნილი ეფარა. დროდადრო ყინულის დიდი ნატეხები ზათქითა და საშინელი ხმაურით ეხეთქებოდა ნაპრალში, საიმედო ხიდი მოვძებნეთ და სათითაოდ გავედით მეორე მხარეს. იქვე კლდე იწყებოდა.

დაიწყო რთული მარშრუტის განხორციელება.

ოთხივენი შესანიშნავად ვგრძნობდით თავს და ამიტომ სწრაფად გავიარეთ ექვსი თოკი (240 მეტრი).

საათნახევარს დამატებით ვიმუშავეთ და პატარა მოედანზე საუკეთესო ღამის საათევი მოვიწყვეთ.

ამ დროისთვის მეთვალყურეთა ჯგუფი კლდის ძირში მოვიდა. ძალიან კარგად ვხედავდით და ძალდატანებლად ვეღაპარაკებოდით კიდეც ერთმანეთს. მიშა მეთვალყურეებს დაეუჭირა, თუ არ დაიძინებთ, ქვებს დაგიშენთო. იძულებული გახდნენ ლაპარაკი შეწყვეტათ და დასაძინებლად მოწყობილიყვნენ. გვესმოდა, როგორ იცინოდნენ.

იმ ღამეს კარგად გვეძინა.

მეორე დილით მორიგე საშა იყო. ყავა მოგვიდუღა და ჩამოგვირიგა.

იმ დღეს საკმაოდ ნელა მივდიოდით. თავში მიშა იდგა. მას მე მივყვებოდი. წინა დღით დაგეგმილ გზას გვერდი ავუარეთ — გაუვალი აღმოჩნდა. მიშამ დიდი შიდა კუთხე ირჩია. ყოველი ორი-სამი მეტრის შემდეგ პალოს არგობდა. მე პატარა თაროზე ვიდექი და თოკს მეტრობით ვუშვებდი. ზანილოვი და სინკოვსკი დაბლა გველოდნენ, პალოზე დამაგრებულნი. შემდეგ გზა უფრო გართულდა — კლდეები გადმოგვფარა, მაგრამ დავინახეთ, რომ შიდა კუთხეს გასასვლელი ჰქონდა. გარაუდით, უფრო მაღლა პატარა მოედანი უნდა ყოფილიყო. მართლაც, სულ მალე მივაღწიეთ ამ მოედანს.

საათნახევარს ვიმუშავეთ ღამის საათევის მოსაწყობად. ნახევრად მიწოლილები და კლდეზე საიმედოდ დამაგრებულნი საძილე ტომრებში მოვეწყვეთ.

ღამე ყველას ცუდად გვეძინა. მე ფეხსაცმელი მაწუხებდა, რომელიც თავთან ჩამოვკიდე. მთელი ღამე ჭარი აქანავებდა და მისი უსიამოვნო ჭრიალი ნერვებს მიშლიდა. ვერაფრით ვერ ვაიძულე ჩემი თავი, რომ ჩამომეხსნა.

ამ ორი დღის მანძილზე, როგორც ველოდით, კედელი სუფთა კლდოვანი იყო, შემდეგ კი დაიწყო ხან თოვლი, ხან ნაღვენთი ყინული, ხანაც კლდე. მიშა კვლავ პირველი მიდიოდა. ზურგჩანთა შევუმსუბუქეთ, როგორც შეგვეძლო. თვითეული ჩვენგანს კი 18 კილოგრამამდე ტვირთი მიჰქონდა.

მეხამე დღესაც კარგად ვიარეთ. ამინდი შესანიშნავი იყო და მეთვალყურეთა ჯგუფისგანაც არც ისე შორს ვიყავით. კავშირს ლაპარაკით ვამყარებდით.

მეოთხე დღეს უფრო მეტად ნაღვენთი ყინული და თოვლი შეგვხვდა. გზა ორმოცი მეტრის სიმაღლის კლდემ გადაგვიკვეთა, შემდეგ მას კულუარი მოჰყვა. აქედან პატარა კლდოვან კუნძულზე შეიძლებოდა გასვლა. 160 მეტრის სიმაღლის ყინულოვანი კედლის გავლის შემდეგ მწვერვალის წინა მხარეს მოვხვდით. მორიგე მე ვიყავი და შოკოლადი დავარიგე. მიშამ მოასწრო და შოკოლადი შეჭამა. შემდეგ დაცვა მოამზადა და თქვა: „დრეა, იური! ბიჭები მივიღოთ!“ ბიჭები ამ პატარა მოედანზე ამოდიდნენ. ის იყო შოკოლადის შეჭმა დავაპირე, რომ მიშა კლდის კიდესთან დადგა და მითხრა: „იური, თუ მაგ შოკოლადის ნახევარს არ მომცემ, კლდეზე გადავვარდები“. კლდის პირას იდგა, თითქმის გადავარდნას იყო. ძლივს ამოვიღე ხმა: „ოღონდ აქეთ გამოიწი და სულ მოგცემ“. ჩვენი შემყურე ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ, მე კი სულაც არ ვიყავი სიცილის გუნებაზე.

კულუარი გადავკვეთეთ. მიშა ყინულოვანი კედლის შუა ნაწილში ვიწრო ზოლად გაჭიმულ კლდის კუნძულთან გავიდა და ჩვენ მიგვიღო. შემდეგ იგი კუნძულის ზევით სამოც მეტრზე გავუშვი. უფრო ზევით, ასე თხუთმეტიოდე მეტრის დაშორებით დიდი ქვა დავინახეთ. აქედან ყინვარის ძირამდე კილომეტრი იქნებოდა. ჩვენ ვცდილობდით გაგვერჩია, ეს მართლა ჩაყინული ქვა იყო, თუ ყინულში ამოშვერილი კლდე. მიშა ზევით ავიდა, კიდევ ზევით და მარჯვნივ, შემდეგ ოდნავ მარცხნივ და უკვე პირდაპირ ქვასთან. ყინულზე საფეხურებს ჭრიდა.

„იური, მე აქ დავისვენებ“, — დამიძახა ზევიდან.

„ნახე, თუ მაგრად არის ჩაყინული, მაგ ქვაზე დაისვენე“.

მიშამ ქვა მოსინჯა.

„კარგია, დავისვენებ“.

იგი მართლაც ქვაზე მოეწყო.

საოცარია, რა კარგად ჩამრჩა გონებაში, რაც მაშინ გავიფიქრე და განვიცადე. რამდენი ხანი გავიდა და ყველაფერი გუმინდელივით მახსოვს.

ვუყურებ და ვხედავ, როგორ წყდება ქვა, როგორ მოდის ჩემსკენ. აქვე, ჩემს გვერდით დანარჩენები დგანან.

მიშა ორი თითით ჩამოეკიდა ქვის ბუდეს. ახლაც ვერ გამიგია, როგორ მოახერხა.

ქვა ჯერ ნელა მოდიოდა, შემდეგ თანდათან უმატა სიჩქარეს.

თუ თოკს დაიყოლიებდა, ყველანი ცოცხლები ან მკვდრები პირდაპირ კედლის ძირში, ყინვარში ჩავცვივდებოდით. ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი იმიტომ, რომ ყველაფერი უცებ გათავდებოდა. [illegible] — [illegible] როდა და თოკი არ [illegible] სახიჩრებულებს [illegible] გველოდა: კაპრონის თოკი არ ლპება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კლდეზე ვიქნებოდით დაკიდებული.

ჩვენ კი ქვას შევყურებდით და არაფერი შეგვეძლო — კლდეზე ვიყავით დამაგრებულნი და განძრევის საშუალება არ გვქონდა. ან რა უნდა გველოდნა?

ქვამ კი სიჩქარეს უმატა და პირდაპირ ჩვენსკენ მოექანება.

უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად...

(დასასრული იქნება)



ნახ. გ. იაშვილისა.

გონებამახვილი თუ სართ?

საერთაშორისო შაშში ამუამინდელი მსოფლიო ჩემპიონი ი. კუპერმანი თავდაპირველად კარგა ხანს რუსულ შაშს თამაშობდა.

და აი, ერთხელ



ი. ცინენიუკო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲝᲚᲙᲠᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘᲗᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ფიგურულ ციგურაობაში. ვაუებში ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა სტუდენტმა, 22 წლის ს. ჩეტვერუხინმა. იგი ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი. ქალებში ეს უმაღლესი წოდება ვერ შეინარჩუნა მოსკოველმა ე. შჩეგლოვამ: მას გაუსწრო თანაქალაქელმა გ. გრუიბოვსკაიამ.

სურათზე: წყვილთა სრიალში სსრ კავშირის ჩემპიონები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი. ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲨᲘ დამთავრდა ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი „ᲐᲠᲔᲠᲘᲡ თასზე“. გაიმარჯვა მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“.

სურათზე: „დრამონდვილ იგლზისა“ და მოსკოველთა შეხვედრის მომენტი. ი. ციცინოვი და ვ. ორლოვი ეხმარებიან მეკარე ვ. ჩინოვს კანადელი ლასეს სახიფათო გარღვევის უვნებელყოფაში.

ფოტო აას-ისა და საკდესისა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ...

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

შაბათს გამართულ XXV ტურში „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში მეოთხასჯერ ითამაშა სახელმოხვეჭილმა ბ. ჩარლტონმა, რომელმაც საიუბილეო მატჩი ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ გოლით აღნიშნა. მანჩესტერლებმა გაიმარჯვეს — 3 : 1.

„ლივერპულმა“ შინ მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 4 : 1. 3 გოლის ავტორია ჰანტი. „ლიდს იუნაიტედმა“ ლონდონში დაამარცხა „ფულჰემი“ — 5 : 0. აქაც 3 გოლი გაიტანა გრინჰოფმა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კოვენტრი-სიტი“ — „არსენალი“ 1 : 1, „ნოტინგემ ფორესტი“—„მანჩესტერ-სიტი“ 0 : 3, „შეფილდ უენსდეი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1 : 1, „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“ 3 : 5, „სტოკ-სიტი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 2 : 1, „სანდერლენდი“ — „ლეისტერ-სიტი“ 0 : 2, „ეფერჰემპტონ უონდერერსი“ — „ეფერტონი“ 1 : 3.

აი, ლიდერები:

	თ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნაიტედი“	25	50:28	37
„ლივერპული“	25	39:19	34
„ლიდს იუნაიტედი“	25	41:21	33
„მანჩესტერ-სიტი“	25	53:31	32

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს გათამაშებაში მოსკოვის „ტორპედოს“ მორიგმა მეტოქემ — უელსის „კარდიფ-სიტიმ“, რომელიც ინგლისის II ლიგაში თამაშობს, შინ მოუგო „პორტსმუტს“ (3 : 0) და ახლა XIV ადგილზეა.

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

თუ გასულ ტურამდე, როცა ქვეყნის უძლიერეს გუნდებს „გლაზგო რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ ერთმანეთში ნათამაშები არ ჰქონდათ, შოტლანდიის სპორტული კომენტატორები „რეინჯერსსაც“ და „სელტიკსაც“ ჩემპიონატის მოგების თანაბარ შანსებს ანიჭებდნენ, ახლა, ლიდერთა ფრეს შემდეგ, პრესის აზრით, „გლაზგო რეინჯერსს“, ფაქტიურად, მეტოქე აღარ ჰყავს.

შაბათს, როცა ყინვის გამო რამდენიმე მატჩი (მათ შორის, „სელტიკის“ შეხვედრა „სენტ-ჯონსტონთან“) გადაიდო, „გლაზგო რეინჯერსმა“ ფერგიუსონასა და პენმენის 2 „მშრალი“ გოლის წყალობით მოუგო „ფოლკერკს“ (2 : 0) და ლიდერობა განიმტკიცა.

	თ.	ბ.	ქ.
„გლაზგო რეინჯერსი“	19	51:15	35
„სელტიკი“	18	52:17	31
„ჰიბერნიენი“	19	38:22	23

(საკ. ინფ.)

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **რომი.** იტალიელ მიმომხილველებს შეიჩნიათ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი თამაშების წინ საჭიროა მათი გუნდის მწვრთნელის ვალკარეჯის შეცვლა. მის ნაცვლად ასახელებენ „ვარეზეს“ ახლანდელ კაპიტანს, ნაკრების ცენტრალურ მცველს პიკის.

● **მადრიდი.** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფა-ს სთხოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი 1969 წელს ჩაატაროს მადრიდში.

● **ლონდონი.** „ჩელსის“ მენაჯერად დაინიშნა „არსენალის“ ყოფილი მოთამაშე დ. სექსტონი.

● **ტურინი.** ცნობილმა ესპანურმა კლუბმა „ესპანიოლმა“ „ტორინოს“ შესთავაზა მოეწყოს შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება ამას წინათ ტრაგიკულად დაღუპულ ფეხბურთელ ლ. მერონის. „ტორინოს“ მწვრთნელმა ე. ფაბრომ მიიღო ეს წინადადება.

● **რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ დააჯარიმა „იუვენტუსის“ მწვრთნელი ერიბერტო ერერა, რომელმაც ჩემპიონატის მატჩის დროს უხეში სიტყვებით მიმართა გვერდით მსაჯს. 2 თვით დისკვალიფიცირებულია მსაჯი დაგოსტინი, რომელმაც „ინტერნაციონალე“ — „მილანის“ მატჩის დროს არასწორად ჩათვალა რივერას მიერ გატანილი გოლი.

● **აიაჩო.** კორსიკის ამ მთავარი ქალაქის გუნდი პირველი სეზონია, რაც საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს. კლუბი თავის მინდორზე არავისთან მარცხდება, მაგრამ სუსტად ატარებს გასვლით მატჩებს.

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ტრადიციული მატჩის გამართვაზე იუგოსლავიელებთან. ეს უარი იმითაა მოტივირებული, რომ საჭიროა ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი თამაშებისთვის მზადება.

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს სთხოვა ნება დართოს თავისთან ჩაატაროს ევროპის 1972 წლის ჩემპიონატის ფინალური ნაწილი.

● **დორტმუნდი.** გფრ-ის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ პეტერსს (დორტმუნდის „ბორუსია“) სასამართლომ მიუსაჯა ორწლინახევრის პატიმრობა მაღაზიიდან ტანისამოსის მოპარვისთვის.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲝᲭᲘᲙᲘ: „ᲙᲕᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲕᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲔᲑ!“

უნგრელი ფეხბურთელი ბოქიკი, რომელმაც 100 მატჩი ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში, ყოველთვის სარგებლობდა ჟურნალისტების განსაკუთრებული უურადღებით. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს მისი უკანასკნელი ინტერვიუდან.

რითი უნდა აიხსნას თქვენი, როგორც მწვრთნელის, მარცხი „ჰონვედში“?

მე დიდი ენთუზიაზმით დავიწყე ამ გუნდთან მუშაობა, მით უმეტეს, რომ აქ 18 სეზონი ვითამაშე (1944-62 წლები). სამწუხაროდ, ვერაფერს გავხდი, ვინაიდან ახლა „ჰონვედს“ კარგი ფეხბურთელები აღარა ჰყავს. შიპოში, ტიხი... მეტს ვერავის დავასახელებ.

დაასახელეთ თქვენი საუკეთესო მატჩი?

ასეთი რამდენიმე იყო. ვიგონნებ ჰელსინკის ოლიმპიადის ფინალურ მატჩს იუგოსლავიელებთან, რომელიც მოვიგეთ ანგარიშით 2:0. მაშინ იუგოსლავიის გუნდში თამაშობდნენ ბობეკი, მიტიჩი, ჩაიკოვსკი, ზებეცი, ვუკასი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ასეთი სიძლიერის გუნდი მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის ახლანდელ ჩემპიონატში. იგი ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, 10 ქულის განსხვავებით დაიკავებდა პირველ ადგილს. ეს გასაგებიცაა. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ მაშინ უნგრელები და იუგოსლავიელები მსოფლიოში ყველაზე ძლიერად თამაშობდნენ ფეხბურთს.

ასე დიდად აფასებთ იუგოსლავიელთა თამაშს?

მე მათ ახლაც მაღლა ვაყენებ. სიამოვნებით ვიმუშავებდი იუგოსლავიაში მწვრთნელად. ეს კია, რომ ახლა იქ აღარ არიან ბობეკის, მიტიჩისა და ჩაიკოვსკის მსგავსი მოთამაშეები. ჩვენთანაც ანალოგიური ამბავია. ალბერტი, ფარკაში და ბენე საუცხოო ფეხბურთელებია, მაგრამ ახლა ვერსად ნახავთ პუშკაშის, ჰიდეგკუტის, კოჩიშის რანგის ოსტატებს.

რატომ განაცხადეთ უარი „ჰონვედის“ მწვრთნელობაზე?

ვერ ვხედავდი ამ გუნდის ჩიხიდან გამოყვანის გზას.

როგორია თქვენი სურვილი?

მინდოდა მეთამაშა უნგრეთისა და იუგოსლავიის ვეტერანების მატჩში. ერთ მხარეს გამოვიდოდნენ მიტიჩი, ბობეკი, ზებეცი, ბეარა, ხორვატი, ჩაიკოვსკი, ხოლო მეორე მხარეს — პუშკაში, ჰიდეგკუტი, კოჩიში, ლორანტი, ბუზასკი. ეს ისეთი იქნებოდა, როგორც 15 წლის წინ ჰელსინკში.

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲑᲘ

● **ᲕᲘᲜᲘᲞᲔᲒᲘ,** 7 იანვარი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს მოუგო კანადელებს (4 : 2), 6 ქულა მოაგროვა და I ადგილი მოიხვეჭა.

● **ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ,** 7 იანვარი. აქ გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. ადგილობრივმა ქალთა გუნდმა „ეალგირისმა“ ანგარიშით 23 : 12 დაამარცხა ჰამბურგის (გდრ) კოლექტივი. საპასუხო მატჩი გაიმართება 14 იანვარს, ჰამბურგში.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** 8 იანვარი. დედაქალაქის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ვ. კოროტკოვი, რომელმაც დაამარცხა სსრ კავშირის „მეორე ჩოგანი“ ვიაჩ. ეგოროვი (6 : 4, 7 : 5, 6 : 4) და ა. ვოლკოვი, რომელმაც დაძაბული ბრძოლა მოუგო სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, ესტონელ თ. ლეიუსს. ქალთა ერთეულების ფინალში იასპარეზს მოსკოველებმა ა. დმიტრიევამ და ო. მოროზოვამ. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. ვაჟთა წყვილების ფინალში ვ. კოროტკოვმა და ვიაჩ. ეგოროვმა მოუგეს თ. ლეიუსსა და პ. ლამპს.

● **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** 7 იანვარი. ორ დღეს გაგრძელდა „დინამოს“ თასის ტრადიციული გათამაშება ციგურებით სწრაფრბენაში. ასევე ტრადიციულად გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა, 29 წლის ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ქალმა ს. კაიზერმა. მან ოთხიდან 3 დისტანცია მოიგო. საბჭოთა მოციგურავე ქალები ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲐᲛᲔᲒᲝᲒᲠᲔᲑᲡ

„პრენსა ლატინას“ სააგენტოს კორესპონდენტი ბ. სალამანკა ამას წინათ ესაუბრა საერთაშორისო დიდოსტატ ბ. ლარსენს (დანია). გთავაზობთ ინტერვიუს მცირე შემოკლებით:

● **ვინ იქნება პეტროსიანის მომავალი მეტოქე?**

— მე.

● **თქვენი აზრით, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში მიაღწია ჭადრაკმა განსაკუთრებულ პროგრესს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?**

— რასაკვირველია, კუბაში. აქ ყველას თავდავიწყებით უყვარს ჭადრაკი. შემდეგ რუმინეთსა და ინგლისში, სადაც ჭადრაკი ახალგაზრდებში ძალიან პოპულარული ხდება.

● **ვინ არის ყველა დროის უძლიერესი მოჭადრაკე მსოფლიოში?**

— ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით, ესაა XVIII საუკუნის ფრანგი მოჭადრაკე ფილიდორი. იგი უდიდესი სტრატეგი იყო. დიდ პატივს ვცემ სტეინიცსა და ნიმცოვიჩს.

● **რა მნიშვნელობა აქვს ჭადრაკს ხალხთა დაახლოებაში?**

— როგორც სპორტის სხვა სახეობებს, ჭადრაკსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ. მოჭადრაკეებმა არ იციან, რა არის დისკრიმინაცია და ნაციონალიზმი. ჭადრაკი ხალხებს ამეგობრებს.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘ. აქ გაიმართა ლაიპციგის, პოზნანისა და ბუდაპეშტის რკინიგზელ მოჭადრაკეთა გუნდური მატჩ-ტურნირი. I ადგილი დაიკავეს გერმანელებმა (13 ქულა), II — პოლონელებმა (9,5), III — უნგრელებმა (7,5).

ᲙᲘᲚᲘ. გფრ-ის ვაჟთა ჩემპიონატში ამჯერად არ მონაწილეობდნენ დიდოსტატები უსციკერი, დარგა და შმიდი. 15 შესაძლებლიდან 10,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს 19 წლის ჰიუმხერმა და გამოცდილმა ოსტატმა ბესერმა. მათი მატჩი გამოავლენს ჩემპიონს.

ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘ. გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ფინალი (საბჭოთა მოჭადრაკეები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ) ელვისებურ თამაშში. I ადგილზეა დიდოსტატი დონერი (ჰოლანდია) — 8,5 ქულა 11-დან. მომდევნო ადგილებზე არიან: დიდოსტატი შმიდი (გფრ) — 8, ახალგაზრდა ოსტატები კლუნდტი (გფრ) — 7, ჰფლეგეური (გფრ) — 6,5 და დიდოსტატი პასმანი (ჩეხოსლოვაკია) — 6.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

სამოყვარულო ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გ. სტეფანიმ (იტალია) არ მოიწონა ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება უიმბლდონისა და სხვა ინგლისური საერთაშორისო შეჯიბრებების „ღია ტურნირებად“ გამოცხადების შესახებ.

— ასე რომ მოხდეს, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ინგლისელები გაირიცხებიან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 03476